

გაზეთის ფასი

# ქრონოსი

ხელის-მომწერა მიიღება:

თბილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, მედიკალიზაციის და კაპა, სტამბაში, ხანის ქუჩაზე, გეგუთოვის სახლში  
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В Тифлисе. В контору редакции грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
რედაქციის კანტორაში მიიღება უფელ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზე. უსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძოლის ასოებით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

## საკოლონო და სალიტერატურო გაზეთი.

### შინაარსი:

რედაქციისგან. — საჭიროა ჩვენთვის ურთი-  
ერთის შემწეობა, თუ არა? — პოლიტიკა: ში-  
ნთა. — იტალია. — ისპანია. — ტელეგრაფები. — წი-  
გნი ამხანაგთან მიწერილი. — ბარტმანის საქმე.

### რედაქციისგან.

ჩვენ ხშირად მოგვდის გარეშე თანამშრო-  
მელებისაგან წიგნები, რომლებშიც ზოგნი  
იმათვანი გვემდურებიან — რატომ არ დაბეჭდეთ  
ჩემი სტატია; ზოგნი კი იმისათვის გვიწყრე-  
ბიან, რომ ესა და ეს ჩემი სტატია, ან ლექ-  
სი გამოცვლილია, აქა და აქ ერთი ადგი-  
ლი გამოშვებულია, ენა და კონსტრუქცია  
სტატიისა გარდაკეთებულია და სხვ. მართი  
ამისთანა წიგნი მოუვიდა რედაქციას დიდი  
ხანი არ არის უ. „პეტერბურგის წერილების“  
ავტორისაგან. მთხელ და სამუდამოთ ვაძ-  
ლევეთ აქ პასუხს ჩვენ გარეშე თანამშრომე-  
ლებს.

არასოდეს არც ერთი რედაქცია ვალდებუ-  
ლი არ არის დაბეჭდოს თავის გაზეთში, ან  
ქურნალში ყოველი ხეპრული სტატია, რომ

## ბარტმანის საქმე

მართს რეინის მხარეში, თითქმის ფრანკის  
სამზღვარზე, იდგა წისქვილი, რომელიც ეკუ-  
თვნოდა ერთ მდიდარ მეწიეს — ბორსტს.  
მეწიეს ქალიც ჰყავდა ორი ქალი: ჰენრიეტა და  
მარნესტინა; ორივე დანიშნულები იყვნენ:  
პირველს ირთავდა ერთი ყმაწვილი ტყის ზე-  
დამხედველი ფრანკოზი და მეორეს-ფილო-  
სოფის დოქტორი ბარტმანი. — ბი რა რიგათ  
გაცილა მარნესტინამ ბარტმანი:

ბარტმანი იყო ღარიბი მუშის შვილი; იმან  
ისე მშვენიერად გაათავა სწავლა ერთს პრუ-  
სიის უნივერსიტეტში, რომ გაგზავნეს სა-  
ხელმწიფო ხარჯით აღმოსავლეთის მხარეში  
იქაური ენების სასწავლებლად. იმას უნდა გა-  
ეცოდა სოფ. მლტენი, სადაც ერთს იმის  
მძევს ამხანაგს ბოლოს ჰქონდა საწვრიმა-  
ლო ღუქანი. ბარტმანი შევიდა ღუქანში  
ბოლოის სანახად. ამ დროს ბოლოი იყო  
აეთ და ეერა ვაჭრობდა; ამის გამო, რასა-  
ვერცელია, იმას ბევრი ზიანი მოსდიოდა;  
ბარტმანმა იკისრა თავის ამხანაგის მაგივრად  
ღუქანში ჯდომა და ვაჭრობა. სოფელში ახა-  
ლის პირის გამოჩენამ შესძრა მცხოვრებლები.  
მოველ დღე მოდიოდა ღუქანში აუარებელი  
ხალხი უფრო ბარტმანის სანახად, ვიდრე  
არსამე სასიკლავო. მომსვლელები შორის  
იყო მეწიეს ქალიც — მარნეს-  
ტინა, რომელსაც უკან დასდევდა იმ დროს  
ერთი ცული ყოფაქცევისა და ზნის კაცი —  
შოდე. მარნესტინას ღუქანში გახშირებულმა  
ვიზიტებმა აუთოა შოდე გულში შური, ასე  
რომ ერთხელ უდარაჯა მიფარებულ ადგილს  
ბარტმანსა და კარგა გვარიანად გალახა თავის  
დიდი ჯოხით. მს საქმე მოხდა წისქვილის მა-  
ხლობლად; ბარტმანი, გრძნობა დაკარგული,  
შეიყვანეს წისქვილში, სადაც რამდენიმე კვი-  
რა მოუხდა წოლა. ამდენი ხნის ერთად ყო-  
ფნამ ისე დაახლოვა და შეაყვარა ერთმანეთი  
ბარტმანი და მარნესტინა, რომ მოჩიხა თუ

მელსაც იმას გამოუგზავნიან, თუ ამავე გაზე-  
თში არ ყოფილა რამ დაბეჭდილი ავტორის  
კერძოობითი ცხოვრებაზე და თუ გამოგზავ-  
ნილი სტატია ამ საქმეს არ შეეხება. — რედა-  
ქცია არ არის ვალდებული წარმოუდგინოს  
ავტორს მიზეზები, რომლის გამო არ დაბე-  
ჭდა იმის სტატია გაზეთში.

იმ უფლებს, რომელიც გვემდურებიან მა-  
თი სტატიის ენისა და კონსტრუქციის გას-  
წორებისათვის და ზოგი ერთი აზრების გაფუ-  
ქებისა, ან განკარგებისათვის, ვაცნობებთ შე-  
მდეგს: თუ გნებავთ, რომ თქვენ სტატიაში  
ერთი წერტილიც არ მოემატოს და არც  
დააკლდეს, რომ ის ხელუხლებელი დი-  
ბეჭდოს, მიიღეთ ყურადღებაში და კარგათ  
ასწონეთ ჩვენი ლიტერატურის მდგომარეო-  
ბა, ცენზურის კანონები და რედაქციის მიმარ-  
თულებაც. — შიმისოთაც გვეუბნებიან ჩვენ,  
რომ ენა გააფუქეთო, გააჭრელეთ, კონსტრუ-  
ქცია სულ ქართული არ არისო და სხვ.; ეს  
ერთის მხრით ტყუილიც არ არის ჩვენდა სა-  
მწუხაროდ, მაგრამ ამას თავის მიზეზებიცა  
აქვს.

რომელიმე ახლად გამომხტარი მწერალი,  
გამოგზავნის ზოლმე ისეთ სტატიას, რომლის

არა ბარტმანი იმ წამსვე დანიშნა მარნესტი-  
ნაზე. შემდეგ ბარტმანი წავიდა აღმოსავლე-  
თის მხარეში ენების სასწავლებლად; ერთი  
წლის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო და ჯე-  
რი დაეწერა მარნესტინაზე.

ბარტმანის მოშორებამ არ შეუმცირა მარ-  
ნესტინას სიყვარული, მით უმეტეს რომ ნა-  
ხევარი წლის განმავლობაში იმას ხშირად მო-  
სდიოდა თავის მიჯნურისაგან ნახი, სიყვარუ-  
ლის წიგნები. ნახევარი წლის შემდეგ ბარტ-  
მანის წიგნები უცრად შესწუდა. ამ საქმით  
ისარგებლა მარნესტინას მამამ, რომელიც დი-  
დის კმაყოფილებით არ აძლევდა ქალს ვილა-  
ცა გამოუჩენდეს და ღარიბს სწავლულს.  
მარნესტინას თხოულობდა ბარონი ბაუმგარ-  
ტი, იქაური სულის პროკურორი, რომელიც  
თუმცა მოხუცებული კაცი იყო, მაგრამ დი-  
დი ადგილი ეჭირა, ბევრი ნათესაობა ჰყავდა  
დიდაცებში და იმ მხარეში დიდი გავლენაც  
ჰქონდა. ბორსტმა არ მიჰხედა არც იმას, რომ  
მარნესტინა უარს ამბობდა, არც იმას, რომ  
ბარტმანს პირობა ჰქონდა მიცემული; იმან  
დანიშნა ქორწილის დღე და საათი.

დანიშნულ დროზე ბაუმგარტი მოვიდა სო-  
ფელ მლტენში; შეიქნა მზადება. მეწიეს ქალიც  
წავიდა თავის ქალის სტუმრებთან გამოსაყვა-  
ნად. მარნესტინამ უკანაქანელად სთხოვა მა-  
მას — ნუ მომიკლავ სიყმაწვილს, ნუ მაძლევ  
ბაუმგარტსა, მაგრამ მამა თავისას ამბობდა;  
მარნესტინა მშვიდობიანად და მტკიცე სიტყვე-  
ბით უთხრა მამას „შენ წადი, მე ჩავიცვამ და  
ესლავ გამოვალ ზალაში სტუმრებთან“. —  
ბორსტი დაბრუნდა ზალაში. სტუმრები ჰკი-  
თხვენ-პატარაძალი რა იქნა, რატომ არ გამო-  
დისო? ბორსტი ეუბნება ესლავ გამოვალ; მა-  
გრამ დრო მიდის და მარნესტინა კი არ გამო-  
დის; შერცხენილი ბორსტი ისევ მიდის ქა-  
ლის ოთახში მარნესტინას გამოსაყვანად; მა-  
გრამ იქ არაფერ არ უხედება, ეძებს სხვა ოთა-  
ხებში — არსად არა სჩანს, ყვირის, უბნის მო-  
სამსახურებს, ყველას ატყობინებს, რომ მარ-

ნესტინა და მიმართულება არ შეეთანხმებიან  
ცენზურის კანონებს, რომლის ენა არ ეთან-  
ხმება ქართული ენის კანონებს; და, როცა  
ამ ნაირ სტატიას დაინახავს ავტორი გაზეთში  
ზოგან გამოცვლილს, სისხლი უფარდება თავ-  
პირში, ავტორის თავის-მოყვარეობას ვერ უძ-  
ლებს და გზავნის რედაქციაში განხილვებულ  
და მრისხანე წიგნებს.

ძალიან კარგი იქნება, რომ ყოველი ავ-  
ტორი აცნობებდეს რედაქციას პირობას: და-  
ბეჭდოს იმის სტატია, თუ არა, თუ რე-  
დაქციაში, ან ცენზურაში საჭიროდ შეჩვენა  
რომელიმე აზრების გამოცვლა, ან ენის გას-  
წორება. — შევლას კი, რასავერცელია, ის ემ-  
ჯობინება, რომ ჯერ ისწავლოს კაცმა წერა  
და რიგაინათ აზრების გამოთქმა და მერე მო-  
ჰყოს მწერლობას ხელი; თორემ ბევრმა ენაც  
იცის და აზრებიც აქვს ცოტადენი თავში,  
მაგრამ არ შეუძლია იმნაირად გამოხა-  
ტოს ის აზრები, რომ არავის წინააღმდეგი  
არ იყოს.

### საპრობა ჩამოთვის ურთიერთის შეფუძო- ბა, თუ არა?

ბი პროექტი ყველის გამკეთებლების ასსო-

ნესტინა დაიკარგა. მაგრამ ვერც ყვირილი-  
თა და ვერც ყვინთი ეერა გააწყვეს რა: ქალი  
არსად არა სჩანს. რასავერცელია შინაურები  
და სტუმრებიც ძალიან შუწუნდნენ; სახლში  
რო ველარ მონახეს, დაიწყეს ახლო-მახლო  
ადგილებში ძებნა; ბოლოს ბევრი ძებნის შე-  
მდეგ ხშირ ტყუნი ნახეს ერთი საშინლად გა-  
ფუქებული და დაჭრილი ქალის მძოვრი. მიე-  
თონ ბორსტმა, მის მოსამსახურებმა და ყვე-  
ლა მლტენის მცხოვრებლებმა, ერთი სიტყ-  
ვით ყველამ, ენაც კი უნახეს სიცოცხლეში  
მარნესტინა, ამ მძოვრში ის გამოიკნო.

პროკურორი ბაუმგარტი იმ წამსვე შეუდ-  
გა ადგილის დათვალიერებას; თვით მკვდარის  
მასლობლად ნახეს კვალი მკვლელისა, მაგრამ  
იმის დაზოგვა არ შეიძლებოდა, რადგან ის  
ადგილი ხავსით იყო მოფენილი; აქვე ნახეს  
იარაღი, რომლითაც უნდა მოეკლათ მარნეს-  
ტინა. ამავებით ძნელი შესატყობი იყო-ან თუ  
ეინ იყო მკვლელი, ან რისთვის მოჰკლეს.  
მამომძიებლები იყვნენ დიდ გაჭირვებაში: იმათ  
არა ჰქონდათ არც ერთი ნიშანი, არც ერთი  
მიზეზი, რომ ვისთვისმე დაებრალბინათ ეს  
მკვლელობა; ხალხი გაჩუმებული იყო; მამა-  
საც ეჭვი არავისზე არა ჰქონდა. შეცრად ერთ-  
მა მეწიეს ქალის მოჯამგირის ჩვენებამ გაანა-  
თლა ეს ბნელი საქმე; ამ მოწამემ აჩვენა: იმ  
საღამოს, კაცის მკვლელობა რომ მოხდა, იმ  
დროს როცა სტუმრები მოელოდნენ მარ-  
ნესტინას გამოსვლას, ბორსტმა გამგზავნა მარ-  
ნესტინას გამოსაყვანად; კარებთან რომ მიე-  
დი მე შემომავსმა კაცის ხმა, რომელიც ემს-  
გავსებოდა ბარტმანის ხმას; კარები შეგინდ-  
ან იყო დაკეტილი და, როცა მარნესტინამ  
გააღო, ოთახში აღარაფერ არ იყო. ამ ჩვენე-  
ბამ უჩვენა მამომძიებლებს ნამდვილი წყარო  
დამნაშაობისა. — იმათი ანგარიშით ბარტმანი  
სწორეთ იმ დროს უნდა დაბრუნებულიყო  
პრუსიაში; დაბრუნდებოდა თუ არა, რასა-  
ვერცელია, ყველაზე პირველად თავის საცო-  
ლოს ნახავდა. მამომძიებლები ფიქრობდნენ —

ციაკისა: — ქვეით ხელ მომწერელნი, რძის  
პროდუქტის მოსამატებლათ და გაუმჯობესო-  
ბისთვის შევერთოდით ასოციაციით, სახელათ  
**№ 1**, საზოგადო ფული — **X**, ვინ მიიღო  
მონაწილეობა დაფუძნებაში, ვინ იყო შემდეგ  
მიღებული და ვინ მისცა ფასი, რომელიც შე-  
ეთანხმება საზოგადო აქტივს, ვინ დარჩა მე-  
მკიდრეთ ამ უფლებებისა, ანუ ვის მისცეს ეს  
უფლება მშობლებმა. — რამდენიც წევრია,  
იმდენი აქცია არის. — ხშირათ აქცია არ აძ-  
ლევს წევრათ ყოფნის უფლებას. — მინც სხვა  
რომელიმე საშუალებით მისაკუთრებს აქცი-  
ას, არ ჩაირიცხება წევრათ; იმას მიაქვს მხო-  
ლოდ კაპიტალი, შენახული საზოგადოებისა-  
გან და დაფარული კანონისაგან; აგრეთვე  
განხილვებიან აქციები წევრებისა, რომელ-  
ნიც გამოირიცხულნი არიან დანაშაულობისა-  
თვის. — საზოგადოების დახურვამდინ ვერაფერ  
მოითხოვს სრულად თავის ნაწილს, გარდა  
იმისა, რაც ეძლევა დებულებით. — ძაცი, რომ-  
მელმაც გაყიდა, ანუ როგორმე მისცა თავისი  
პაი სხვას, ასოციაციის შეუტყობინებლათ,  
ჰკარგავს ყოველ უფლებას, რომელსაც აძ-  
ლევს ასოციაცია. — პაის გაყიდვა არ შეიძ-  
ლება, თუ წინათვე არ შეატყობინა საზოგა-

ძალიან შესაძლებელია, რომ ბარტმანმა ნახა  
მარნესტინა იმ დღეს, როცა ბაუმგარტის ქორ-  
წილი იყო დანიშნული; შესაძლებელია, რომ  
მამის ორგულობამ და მარნესტინას ბაუმგარ-  
ტის შერთვაზე (თუმცა ძალადატანებით) ნების  
დართვამ, ისე გაანახლა ის და ისეთ მდგო-  
მარეობაში მიიყვანა, რომ იმას, ამ პირველ  
სიგიჟის დროს, მოუვიდა აზრში მტრებისთვის  
შური მიეგო რომ იმას წაართვის ქალი რომ-  
მელიც კანონით ეკუთვნოდა.

რადგანაც ყველამ იცოდა რომ მეწვრიმა-  
ლე ბოლოი იყო კარგი ამხანაგი ბარტმანისა  
და რადგანაც იმას უნდა სცოდნებოდა —  
მოვიდ ის, თუ არა, ამისთვის გამომძიებლები  
წავიდნენ ბოლოთან საკითხავად და იმის  
დუქნის გასახიჩრკად.

წარმოდგინეთ, როგორ გაუხარდათ გამო-  
მძიებლებს, როდესაც, შევიდნენ თუ არა ბოლო-  
ლის ღუქანში, იქ დახვდათ ბარტმანი, რომე-  
ლიც ძლიერ მშვიდობიანათ რაღაზედაც მუ-  
საიფობდა ბოლოთან. ის იმ წამსვე დაატუ-  
საღეს და წაიყვანეს მძოვრის საჩვენებლად.

დამახინჯებული, დასახიჩრებული მძოვრის  
შეხედვამ ძალიან გააოცა ბარტმანი; პირვე-  
ლად ის დარწმუნებით ამბობდა, რომ მძოვ-  
რი მარნესტინა არისო; მაგრამ კარგად რომ და-  
აქტკრდა სიტყვა, რომ ეს მძოვრი მარნესტინა-  
სი არ არისო და არც ვიცი-ვინ არისო. — დიდ-  
ხანს არწმუნებდნენ იმას გამომძიებლები, რომ  
ნუ ფარისევლოფო, თვითონ მამამ იცნო მძო-  
ვრში მარნესტინაო და სხვ. ბარტმანმა არ  
შესცვალა თავის აზრი. — მამომძიებლების კი-  
თხევაზე — სად იყო ის მკვლელობა რომ მოხდა  
იმ დროს და ნახა თუ არა თავის საცო-  
ლო, — ბარტმანმა უჩვენა შემდეგი:

დავბრუნდი თუ არა მოგზაურობიდან, მე  
ყველაზე უწინ წავედი დედაჩემთან; იმან მა-  
ცნობა, რომ შენს საცოლოს ბაუმგარტს  
აძლევდნო; იმ წამსვე წამოვედი აქ მლტენში  
და საღამომდი კიდეც მოვედი; აქაური ადგი-  
ლები კარგათ ვიცოდი. მე დავინახე სინათ-



დოებას, რომელსაც აქვს უფლება ყველაზედ უწინ შეისყიდოს ეს პაი \*). ზარეშე შემოსავალი, როგორც შრატის და სხვა ნივთიულობის ფასი დანიშნულია ხარჯის გასასტუმრებლათ. ამის გარდა ყოველ წელიწადს საზოგადო კასსაში სდებენ რამოდენიმე ფულს სახლისთვის, სადაც კეთდება ყველი. — 2) საზოგადოების მართებლობას შეადგენს: ა) საზოგადო კრება წევრებისა; ბ) პრეზიდენტი; გ) კომიტეტი. — მართი წევრი უნდა ამოირჩიოს ყოველ წელიწადს, რომელიც იქნება აღმინისტრაციის ხელქვეითი; ეს აგროვებს წევრებს და სხ. — კომიტეტის წევრი განთავისუფლებულნი არიან ამისთანა თანამდებობისაგან და აგრეთვე ისინიც, ვინც მისცემს დანიშნულ ფასს სხვის საჭირავებლათ. —

ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ბ ა: — წევრი იკრთება პრეზიდენტის, კომიტეტის ან  $\frac{1}{3}$  წევრების მოწვევით. — დანარჩენს წევრებს აცნობენ ამ შეკრებილობაზე 24 საათის წინ. — ადგილი და დრო შეყრილობისა ინიშნება წინათვე; საზოგადო კრებაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ წევრნი. — სახლობის წევრს შეუძლიან დაიჭიროს ადგილი საზოგადოების წევრისა; ექსტერნები ბაასობაში მონაწილეობას მაშინ მიიღებენ, როდესაც ეს ბაასობა არ შეეხება საზოგადოების კასსას, ან დებულებას. — საზოგადო კრება კანონიერი მაშინ არის, როდესაც მოგროვილია იმოდენი წევრი, რამდენიც საჭიროა ხმის უმეტესი რიცხვისთვის. — სრული რიცხვი წევრებისა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც უნდა მიიღონ ვინმე წევრათ, ან როდესაც გარეშე კაცს სურს მიიტანოს რძე; —  $\frac{2}{3}$  ხმა საჭიროა გასამტყუნებლათ მრუდობისთვის, საზოგადოების სრულიად დახურვის გადასაწყვეტლათ და საქმის

წაწილი. —

ლ ე მ რ ნ ე ს ტ ი ნ ა ს ფ ა ნ ჯ ა რ ა შ ი და პ ი რ და პ ი რ მიეადეკი იმას; მრნესტინა მარტოა იყო თავის ოთახში. იმან მითხრა ის ამბავი, რომ ბაუმგარტს მამლევენო, მაგრამ მარწმუნებდა, რომ იმას კიდევ ისე უყვარვარ, და რომ ბაუმგარტს ძალა-დატანების გამო მიჰყვება. მე იმას უთხარი რომ, თუ გინდა, მე მოველაპარაკები მამაშენსა მეთქი, მაგრამ ამ დროს მოვიდა ბიჭი, რომელიც უბახოდა მრნესტინას ზალოში, შემდეგ თვითონ ზორსტიც შემოვიდა. შემოესმა თუ არა მამის ფეხის ხმა, მრნესტინამ მთხოვა მე დამალულიყავი, რომ დაეიდარაბა არ შემდგარიყო; მეც გაუგონე და დავიმაღლე; შემდეგ მრნესტინა გავიდა და მე მარტო დავრჩი ოთახში. რამდენიმე მინუტის შემდეგ ბაღში ფეხის ხმა მომესმა; გავიხედე ფანჯარაში და მრნესტინა დავინახე. — მეც ბაღში გავექეცი, მაგრამ ვერ დავეწიე მრნესტინას; მარტო თვალი მოვკარე, რომ ტყისაკენ მიზობდა; დავჯექი წისქვილთან და უცდიდი იმის მობრუნებას. მხედვედი, რომ ცეცხლდენ მრნესტინას და რომ უიმისოდ დაბრუნდენ; შემდეგ წავედი ზოლოთან და უამბე იმას ეს ყველაფერი. —

ბ ა მ ა მ ი ძ ი ბ ლ ე ბ ს არ ს ჯ ე რ ო დ ა თ ამ ჩ ე ე ნ ბ ის ს ი მ ა რ თ ლ ე; ბ ა რ ტ მ ა ნ ის მ კ ე ლ ე ლ ო ბ ის დ რ ო ს ი ქ დასწრობა, იმის უარ ყოფა, რომ მძოვრი ჰგავს მრნესტინას, მაშინ როდესაც ამას ყველა ამტკიცებდა და სხვები ბევრი ნიშნები არწმუნებდა პროკურორს, რომ მკვლელი ბარტმანი უნდა იყოს; ის მისცეს სამართალში. —

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ს ხ დ მ ა შ ი პ ი რ ე ლ ა დ ბ რ ა ლ -ს ა დ ე ბ ლ ი ა ქ ტ ი წ ა ი კ ი თ ხ ს; ა მ ა შ ი დაწერილებით იყო მოხსენებული ამ საქმის გარემოებაები, აწერილი იყო ადგილი, სადაც მოხდა მკვლელობა და სადაც მძოვრი ნახეს, კეტო, რომლითაც მოკლულია მკვლარი; შემდგომ დაწმუნებით ამბობდა აქტი პროკურორი, რომ მძოვრი მრნესტინას გავსო და იმის მოკვლაში ბარტმანის მეტი არაფერ არის ბრალეული; პროკურორი ამტკიცებდა, რომ

ლიკიდაციისათვის \*), ყოველი ხარჯის ნება დართვისათვის, საზოგადოების დებულების გამოსაცემლად. — მოველი საგანი გასახილავათ უნდა იყოს წარმოდგენილი სამის წევრისაგან. — ბაასობა და გარდაწყვეტილობა საზოგადო კრებისა იწერება ცალკე წიგნში. — მალა საზოგადო კრების ინიშნება წინათვე ორის წლით. — მოველ წელიწადს საჭიროა უეჭველათ ერთი საზოგადო შეკრებილობა. — პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი ს მ ო ვ ა ლ ე ბ ა: პრეზიდენტი თვალს ადევნებს, რომ საზოგადოების დებულების წინააღმდეგ არაფერ მოიქცეს. — ის აცნობებს კომიტეტს, ან საზოგადო კრებას ყოველ ცნობებს ან მოთხოვნისა, რომელიც შეეხება დებულების გაუმჯობესებას. — ის არის კომიტეტის წევრი და ხელმძღვანელობს მის მოქმედებას. — კომიტეტი შესდგება პრეზიდენტისაგან, კასირისაგან, რომელსაც ჩაბარებული აქვს საზოგადო ფულები, სეკრეტარისაგან, რომელსაც აბარია წიგნები და სწერს კრების განაჩენებს, ორის წევრისაგან და ორის კანცლარებისაგან. — კომიტეტი აძლევს შემწვობას ყოველისთვის, რაც კი სასარგებლოა საზოგადოებისთვის და თვალს ადევნებს დებულების ყოველ პარაგრაფის ასრულებას. — ის ვალდებული არის, რომ ხშირ-ხშირათ განიხილოს კანონიერათ ღირსება რძისა. — კომიტეტის გარდაწყვეტილება მაშინ არის ნამდვილი, როდესაც ამ გარდაწყვეტილებაში მონაწილეობას მიიღებს წევრების  $\frac{2}{3}$  წილი და არა ნაკლები. — საეჭვო შემთხვევებში თვალს ადევნებენ, რომ კომიტეტში არ ისხდნენ ნათესავნი მეოთხე მუხლამდინ, აგრეთვე დამნაშავეს ნათესავებსა არა აქვთ ხმა დამნაშაულობის გარდაწყვეტილებაში. — თუ ვისმე შეამჩნიეს მრუდობა, მაშინ

\*) ლ ი კ ი დ ა ც ი ა — გ ა რ დ ა ხ დ ა ვ ა ლ ი ს ა დ წ ე ე ნ ე ბ ა კ ო მ ე რ ც ი უ ლ ო ს სა ქ მ ე ბ ის ა. —

ბ ა რ ტ მ ა ნ ის მეტი ევრაინი ისარგებლებდა მრნესტინას სიკვდილით, რომ მისი წინანდელი ცხოვრება და ხასიათები გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ იმას შეეძლო ამისთანა დამნაშაულობის მოხდენა; ამ აზრის დასამტკიცებლად ბრალ-სადებულ აქტში აწერილი იყო მისი წინანდელი ცხოვრება; ის იყო გამოყენილი როგორც ერთი ჩხუბის მოყვარე, ამაყი და პატივის დაფულის მოყვარე კაცი; მრნესტინას ღალატობა დაკარგვინებდა მას, ბრალ-სადებელი აქტის სიტყვით, კარგი მზითვის მოპოვების იმედს; ეს, რასაკვირველია, გამოიყენა იმას მოთმინებისაგან და მკვლელობაში მიაწევენებდა. — შესაძლებელია, ამბობს პროკურორი, რომ ბარტმანი ქორწილის წინეთ შევიდა პატარძლის ოთახში და გაქცევას ურჩევდა; ისინი გაიქცნენ ტყეში, მაგრამ იქ მრნესტინამ, სჩანს, ნაზობა დაიწყო და ისევ შინ დაბრუნება მოინდომა. მაშინ ბარტმანი გამოვიდა მოთმინებისაგან და მოჰკლა იმ კეტით, რომელიც მძოვრთან ნახეს. მეც დამნაშაუობის კვალის დასამალავად იმან დაუმახინჯა მკვლარს სახე, რომ არაფერ იცნოს და ესლა, როგორც აშკარა ავაზაკი, ამბობს, რომ მძოვრი მრნესტინას არა ჰგავსო. — ბოლოს ბრალ-სადებელი აქტი ამბობს, რომ ბარტმანი წინეთ განსაზრული მკვლელობისათვის უნდა მიეცეს სისხლის სამართალსო. —

ამ აქტის წაკითხვის შემდეგ სასამართლომ მიჰყო ხელი მოწმების კითხვას. პირველად თითონ დამნაშავეს ჰკითხეს; იმან გაიმეორა გამოუცვლელად თავის ძველი ჩვენება, რომელიც ჩვენ წევით მოვიყვანეთ. შემდეგ ჰკითხეს მამას, რომელმაც მოჰყვა დაწერილობით ამ საქმის გარემოება. მართა წისქვილის მუშა აჩვენა, რომ იმ საღამოს, როცა მკვლელობა მოხდა, იმან დაინახა ერთი კაცი, რომელიც ზორსტის სახლთან მიდიოდა და თუმცა გვარაინად ბნელოდა, მაგრამ ის კაცი მაინც ბარტმანად ვიცანო; მოწამე ნახა, რომ ბარტმანმა გაიარა იმ ადგილისაკენ, სადაც სა-

— კომიტეტი მოუწოდებს საზოგადო კრებას, მაგრამ კომიტეტს შეუძლიან უამისოთაც გამოაცხადოს როგორი შტრაფის ღირსია ის დებულების თანახმად. — სამსახურისთვის დასაჩუქრება მხოლოდ შრომა ასოციაციის კასირისა და სეკრეტარისა. —

მ ო ვ ა ლ ე ბ ა წ ე ვ რ ის ა. — მოველი წევრი მოვალე არის დემოჩილორს ასოციაციისგან დამტკიცებულ დებულებას. — რომელი წევრიც შენიშნავს რომელიმე ზარალს, ან ცუდ მოქმედებას, უნდა შეატყობინოს კომიტეტს. — მოველმა წევრმა უნდა მოიტანოს ყველის გასაკეთებელ სახლში სრულიად წმინდა რძე და ყოველის ბუნებისთვის ღირსებით. —

დებულობის აუსრულებლობისთვის შეიძლება დაედოს შტრაფი და გამოირიცხოს საზოგადოებისაგან. — დებულობის აუსრულებლობისთვის პირველათ გადახდებიან მარტო შტრაფს, თუ დამნაშავეთ გამოჩნდა თვითონ სახლობის უფროსი, ან იმის სახლობის წევრი, ან მოსამსახურე და თუ ამასთანავე დამტკიცებს, რომ დანაშაულობის აღსრულების დროს ბოროტი ჰაზრი არა ჰქონდა. — აგრეთვე გადახდება მარტო შტრაფი წევრს, თუ დანაშაულობის გამეორებაში აღმოჩნდა მისი მოსამსახურე. — სხვა შემთხვევებში გამოირიცხვენ წევრს და შტრაფსაც გადახდებიან. — წევრი მოვალენი არიან მოიტანონ რძე ახლათ მოწვევლილი, მაშინვე მოწვევლის შემდეგ და დანიშნულ საათზე. — წევრს აკრძალული აქვს რძის მოტანა უწმინდოების, გასერილის ჭურჭლით. — თუ ძროხას ხნო ეყოლა, უნდა დაასვენონ რვა დღე, და ამ რვა დღის განმავლობაში არ უნდა მოიწვევლოს. — აგრეთვე აკრძალულია ავთ-მყოფი ძროხის რძის მოტანა, ვინამ ძროხა არ მოიჩნება. — პრავის არ შეუძლიან თვითონვე ასწონოს რძე და ჩასწვროს წიგნში, თუ იქვე არ დაესწრო ყვე-

რები ეწყო, მაგრამ აიღო თუ არა სარი, ის კი არ შეუნიშნავს. სხვა ორმა მუშამ აჩვენეს, რომ ის სარი, რომლითაც მოკლულია მრნესტინა, არის აღებული იმ სარებიდან, რომელიც აუზთან აწყვიტა. — შანდარმებმა, რომელთაც დაატუსაღეს ბარტმანი, სთქვენს რომ ის ძალიან მშვიდობიანად არის; მაგრამ, როდესაც ის მივიყვანეთ მძოვრთან, მაშინ პირველად შეეცვალა სახეო, შემდგომ კი დაიკავა თავი და ისევე გაულგრილად დააქცერა. —

წ ა ი კ ი თ ხ ს ი მ სასწავლებლების მოწმობები, სადაც ბარტმანს უსწავლია; ყველაში ეწერა, რომ ბარტმანი საშინელი ჩხუბის მოყვარე, ამაყი და პატივ მოყვარე ყმაწილი კაციო. — შინეგისტიტში რამდენჯერმე ღუელები გაუშრათეს იმას. —

ბ ა რ ტ მ ა ნ ის წ ი ნ ა ლ მ დ ე მ ო ჰ ყ ა დ ა თ კ ი დ ე ვ ის გ ა რ ე მ ო ბ ა, რომ 8 საათიდან 10-მდე, ე. ი. იმ დროს როცა მკვლელობა მოხდა, ისარავის არ უნახავს, და თავის ჩვენებას, რომ ამ დროს ბაღში ვიყავი, ის ევრაფრით ვერ ამტკიცებდა. ბარტმანის დედამ აჩვენა, რომ მრნესტინას გათხოვების ამბავს ძალიან დიდა გაელენა ჰქონდა იმაზე; ეს რო უთხარი, იმას გამოეცვალა სახე და რამდენიმე მინუტის განმავლობაში ხმა ევლარ ამოიღო, შემდეგ შეაქმანა ცხენი და თუმცა ის იყო ღამდებოდა, მაგრამ შინიდან მაინც წავიდა სადღაც; სად წავიდა, ის კი არ უთქვამს დედასთვის. —

შ ე მ დ გ ო მ პ რ ო კ უ რ ო რ ის ა და დ ა მ ც ე ლ ის შუა ბაასი გაიმართა. პროკურორი ფიცათ ლაპარაკობდა ბარტმანის ბრალეულობაზე და თავისი გრძელი სიტყვა გაათავა იმითი, რომ ნათევებს მიმართა და არწმუნებდა, რომ არც ერთი წამი არ ეხმარათ ყოყმანებაზე და ბრალდებულის დასჯისათვის; მკვლელი ძალიან სუსტად ამტკიცებდა ბარტმანის უბრალოებას. — მაღაწყევტით უარს არკვი ამტკიცებდა მკვლელობის ჰაზრს; ის მარტო ცდილობდა დამტკიცებინა, რომ ბარტმანს მრნესტინა თუ-

ლის-გამკეთებელი, ან იმისი მოადგილე, ან რომლის პატრონა არ ასარულა. — დებულება, არ ჩაირიცხება ანგარიშში. აგრეთვე არც მოიტანება და არც ჩაიწერება წიგნში რძე, რომელიც ეკუთვნის გარეშე კაცს, და არა წევრს. — მართად რამოდენიმე წევრიც მოაგროვებენ რძეს და ვერ ჩაასხმენ ერთს ჭურჭელში და ვერც ჩააწერენ ერთის კაცის სახელზე. — გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წევრი, რომლის სახელზედაც იწერება რძე, გამოდის ასოციაციიდან და სურს გადაიხადოს რძით ვალი, რომელიც მმართვეს ასოციაციისა. — თუ წევრი განთავისუფლებული არ არის თავის მოვალეობისაგან და არ არის დანიშნული წიგნში, მაშინ იმან უნდა ზიდოს რძე ყველის გასაკეთებელ სახლში მანამდინ, ვინამ ძროხებს მთაში გარეკავს, ან ამ სახლის დახურვამდინ \*). — მოველმა წევრმა უეჭველათ უნდა მიიღოს მონაწილეობა ჭონდის დაფუძნებაში, საზოგადოების უძრავის და მოძრავის მამულში. — ჭეგლის გაყოფის დროს ყველამ უნდა გადუხადოს ვალი ყველის გასაკეთებელ სახლს. — მართს ყველის-გასაკეთებელ სახლში, ძაპეში, ჭენევის ახლოს, ჩვეულებათ აქვთ მიღებული, რომ ვინც ყველის გამკეთებელს უტოვებდა ყველს, ყოველთვის აძლევდა  $1\frac{1}{2}$  ფრ. (37 $\frac{1}{2}$  კაპ.). ამ რიგათ წლის დასასრულში იმას უფროვდებოდა საკმაო ფული ხარჯის გასასტუმრებლათ; არაფერს დაკლებას არ შეადგენს ეს 37 $\frac{1}{2}$  კაპ., როდესაც მარტო რძეს ჰყიდის 15—20 ფრ. (3 მან. 75 კაპ.—5 მან.). — ყ ე ლ ი ს - გ ა მ კ ე თ ე ბ ლ ი ს მ ო ვ ა ლ ე ბ ა: — ყველის გამკეთებელს ანდობენ რძის შენახვას, ერობის და ყველის გაკეთებას და ამათი ყურის გდებას, საზოგადოების გარდაწყვეტილების და დებულების თანახმად. — იმან ყოველ-დღე უნდა შეადგინოს ანგარიში ყველა პროდუქტისა, რომე-

ნდა მოეკლას კიდევაც, ეს დიდის სიანხლო საგანა და გულზე მოსვლისაგან მოსვლიათ.


ნ ა ფ ი ც ე ბ ს დ ი ბ ნ ა ნ ს არა ჰქონდათ ჩივეს. სასამართლო სასხლამს ზალოში დაბრუნდნენ და ბარტმანი ბრალეულათ აღიარეს. მოსამართლეები ის ის იყო შეუდგნენ გადაწყვეტილობის შედგენას, რომ უეცრათ ზორსტმა წიგნი მიიღო, საჩქაროთ გადაიკითხა და თავმჯდომარეს გადასცა. თავმჯდომარემ გამოართვა, თავისთვის წაიკითხა და მერე მაღლის ხმით გამოაცხადა შემდეგი: ქალი, რომელიც ყველას მკვლრათ ეგონა, იმ ქალის მამამ წიგნი მიიღო, რომ ქალი ცოცხალია; ამ ხანობაში შრანციაში იმალება თურმე ერთ მიყრუებულ სახლში, არდენის მთებში; რაკი შეუტყვია, რომ მკვლარი ეგონიერო, საჩქაროთ თავისი სიცოცხლისა და კარგამყოფობისა ამბავი მოუწერია. — მაგრამ ამ მოულოდნელმა გარემოებამ არ უნდა შეაშფოთოს ნათევნი; ისინი მოქმედებდნენ სინიდიხიანთ. სასამართლომა და ბრალის მდებელმა თავისი ვალდებულება ასარულეს. იქნება საჭირო ყოფილიყო იმათი გადაწყვეტილობის მოშლა. მაგრამ გადაწყვეტილობის გაუქმება კანონით შეიძლება იმ დრომდის, ვიდრე არ გამოცხადდება ბრალდებულსა. მაგრამ გადაწყვეტილობა ნათევითა გამოცხადებულია ბრალდებულისათვის და ამისთვის უნდა დარჩეს ყოველისავე თავის ძალითა.

ამას შემდეგ როგორც რიგია სასამართლომ განჩინება შეადგინა ნათევითა გარდაწყვეტილობისა საფუძვლით და კანონის ნამდვილის ჰაზრისამებრ, რომ ბარტმანი სიკვდილით დაისჯოს.

ბ ა რ ტ მ ა ნ ს მაინც კი აპატიეს და მალე კიდევ მრნესტინა შეირთო. სიამარის სიკვდილის შემდეგ ის წისქვილის სრული პატრონი შეიქმნა.

ამ საშინელ საქმეში გარეული მეორე პირი-ბაუმგარტი ესლაც მდენიერათა სცოვრობს და სასამართლო წაწილში დიდ ადგილებს მიაღწია.





ლიც ჩაბარებული აქეს, — გაჰყიდოს საზოგადოების სახელზე, და აგრეთვე ჩასწეროს ყოველი ნაყიდი ნივთი, რომელსაც ყიდულობს კასირო მათთვის; — არ უნდა მისცეს არც ერთი ნაჭერი ყველი არაფის კასიროს შეუტყობინებლად და უბარათოდ, რომელსაც ართმევს ყველის მყიდველს. — არ უნდა მიიღოს უწმინდური რძე; უნდა დაუბრუნოს უკანვე უწმინდური რძე იმის მომტანს და ამის გამგორების შემდეგ შეატყობინოს კომიტეტს. — აგრეთვე ყველის გამკეთებელი აცნობებს კომიტეტს, თუ შეამჩნია ვისმე დანაშაულობა; ზრუნველობას ჭურჭელზე, რომელიც აბარია და განსაკუთრებით უნდა უჩვენოს მაგალითი სიწმინდისა, რომ შეიძლოს თვალის გადავლება წვერების მოკმედებაზე და მოაგონებს ხოლმე მოვალეობას. — თუ კომიტეტს არ შეატყობინა, ვერ მოწოდდება თავის საქმეს, თუნდა თავის მაგივრად სხვა დაეყენოს ვინმე. —

**ს ა ზ ო გ ა დ ო დ ე ბ უ ლ ე ბ ა :** საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია შტრაფი და საზოგადოების დასაჩუქრება; ამ დასაჩუქრებას ახდენენ წვერს უწმინდობისთვის, ან თუ მოიტანა რომელიმე წვერმა იმ ძროხის რძე, რომელიც არ უნდა მოწვედელიყო რეაქციის განმავლობაში ხბოს ყოლის შემდეგ. — ამ გვარის დანაშაულობისთვის ახდენენ — 25 კაპ.; უწმინდურის ჭურჭლით რძის მოტანისთვის — 20 კაპ. — და ამოღენავე შტრაფი გადახდება წვერს, რომელიც რომელიმე უკანონო მიზეზის გამო არ დაესწრო საზოგადოებაში. \*) — შთველი გამოძიება უნდა მოხდეს დამნაშავეს თანდასწრებით; განაჩენს უცხადებენ პირად საზოგადოების კრებაში; თუ საჭიროა სეკრეტარი აძლევს განაჩენის კომისიას ცნობილ ფასად. — წვერი, რომელიც დათანხმდება გარდაწყვეტილობაზე, ხელს აწერს განაჩენზე; საზოგადოება ნიშნავს, ვინ — რომლის შემოვიდა წვერად, ან რომლის გავიდა, ვინ ვის გადასცა თავისი წილი და სხ. —

ჩემის ფიქრით, ეს ამოწერილი სიტყვები წერესჩაგინის სტატიიდან სრულიად საკმაო არის. — აქ სწავს ყოველი საქმე. — მე წარმოვადგინე ეს მაგალითი მხოლოდ იმ აზრით, რომ უფრო კარგად გაიკნონ მკითხველებმა, რა საფუძველზედაც უნდა დაარსდეს იმ გვარი ასოციაცია, რომელიც ავსწერ. — ადგილობრივი პირობების განხილვა ჩემთვის შეუძლებელია, მისთვის რომ იმ ასოციაციის წევრნი, რომელიც დაარსდება სადმე ჩვენში უფრო კარგად განისაჯერ ყოველ დამბარკოლებელ მიზეზს და ამასთანავე სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა პირობებია. — მაშასადამე მე უნდა მელაპარაკნა ყოველ ადგილობრივ პირობებზე, რომელნიც არსობენ ყოველ ადგილას, სოფელში. — მაშინ მე მოვსცილდებოდი ჩემს აზრს და გავაგრძელებდი სტატიას უსარგებლოდ. — ამის მიზეზით მე ვგონებ სჯობდეს, რომ ადგილობრივი პირობების აღწერა მივანდოთ იმ კაცს, რომელიც საფუძვლიანად იცნობს საქართველოს. —

ამ გვარი ასოციაციები უნდა გაიმართონ იმისთანა ადგილებში, სადაც სოფლები არ არიან ძალიან დაშორებული ერთიერთმანეთს, რომ რძის მიტან-მოტანა ასოციაციის წევრებისთვის ძნელი არ იყოს. — რაც შეეხება ძროხების სიმრავლეს, მე ვგონებ რომ პირველში შეიძლება დაეკმაყოფილდეთ იმ რიცხვით, რამდენიც ეხლა ჰყავს ყოველ მცხოვრებელს საქართველოში. — შემდეგ, როდესაც ყველა დაინახეს, რომ ამ გვარ ასოციაციას ნამდვილი სარგებლობა მოაქვს, მაშინ თითონ ხალხი ეცდება როგორც ძროხების სიმრავლის მომატებას, ისე იმათის ღირსების გაუმჯობესებას. —

\*) ჩვენ აქ გამოვთვეთ ის შტრაფები, რომელნიც ჩემის ფიქრით, საჭირო არ არის და არც შეიძლება გადახდეს საქართველოში პირველ ხანებში, თუ გაიმართა სადმე ასოციაცია. —

ჯობდესობასაც. — შევიცარიანო, ანგლიაში და სხ. სადაც არის გაკეთებული ამ გვარი ასოციაციები, ჩვენ ეხედეთ, რომ პირველში მცხოვრებლებს არა ჰყავდათ კარგი ჯიშისანი საქონელი. — როდესაც გამრავლდა ასოციაციები და დაინახეს, რომ რამდენათაც უკეთესი ჯიშის ძროხა ეყოლებოდა, იმდენათ მომეტებული სარგებლობას მიიღებდა, ყოველი კაცი სცდილობდა უკეთეს მდგომარეობაში მოეყვანა საქონელი და დასასრულს მიადწიეს იქამდინ, რომ გაიჩინეს იმისთანა ძროხები, რომელნიც დღემდე იწველიან რამდენიმე თუნგს. — ამას მოზღდეს სამუშაო საქონლის უკეთეს მდგომარეობაში მოყვანაც და ამითი გამრავლება. — ამას, ეჭვი აღარ არის, უნდა ჰქონდეს კარგი დასასრული, რადგანაც მიწის შემუშავებისთვის მომატებული პატივი გვექნება და საჭიროებასაც მალე დაეკმაყოფილებთ. —

ხალხში ყოველი ასოციაცია ჰბადებს შენაღწინავეს სიცოცხლეს, რომლის მაგალითი შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ისევე შერეშაგინის სტატიიდან. — შერეშაგინი ამბობს, რომ „სხვაზედ უფრო გაცოცხლებული ადგილი შევიცარიანო არის სოფელი, სადაც გაკეთებულია ყველის-გასაკეთებელი ასოციაცია. — იქ აკრებიან დღემდე ორჯელ, დილით და საღამოთი საზოგადოების წვერნი იმ მიზეზით რომ ჩვეულებისამებრ სახლობს უფროსი მოაქვს რძე ყველის გასაკეთებელ სახლში. — დილით და საღამოთი მოწველის შემდეგ ხელე ყოველის მხრიდან სხვა და სხვა კვლებზე და გზებზე გამწკრივებულ კაცებს, რომელთაც ზურგიით მოაქვთ ჭურჭელში ჩასხმული რძე. — შევლის- გასაკეთებელი სახლი ამ დროს გარდაიქცევა ხოლმე სამხიარულო ადგილად. — რძის მომტანი, როდესაც ასწონის რძეს და დანიშნავს რამდენიც მოიტანა, გაბრუნდება და გასწევს ცეცხლის კერასთან და შეერევა კრებაში, სადაც გაცხარებული ბასობა არის. — მანსაკუთრებით ეს ბასობა უყვართ მოხუცებულებს, რომლებსთვის ყველის-გამკეთებელი სდგამს სკამებს. — მინც უფრო ჰაბუკია, ის ზის ცეცხლის კერის მოშორებით, სტოლზე, ხეზე და სხ. — ამისთანა შეკრებილობა გრძელდება 10 — 11 საათამდინ. — შევლის გამკეთებელს საზოგადოება დიდს პატივსაც სცემს და ამის გამო ყოველ მის სიტყვას ისმენენ დიდის ყურადღებით. — საღამოზე, ყველის-გასაკეთებელ სახლთან იმართება ჭიდაობა...“ — შევხედოთ ახლა სხვა მაგალითს, რომელიც გვიჩვენებს, რამდენი რძე გაიყიდა ასოციაციაში. — პაურენში გაკეთებულია ასოციაცია (მადრის კანტონში) 1840 წ. — ამ წელს შეიტანეს წვერებმა 36,230 თუნგი და 2 ბოთლი. — რძე გაიყიდა — 1,136 მან.; ყველზე დახარჯეს 4,548 თუნგი და 2 ბოთლი. — 1855 წ. შეიტანეს — 110,078 თუნგი რძე; გაიყიდა რძე, ერბო და მალბი — 6,250 მან. ყველი — 13,613 მან. — ამასთანავე უნდა დავუმატოთ, რომ ყველს ნაჭერ-ნაჭერ — არ ჰყიდიან, თუ არ მთელ-მთელით, რადგანაც შეიძლება ნაჭერი ყველი წახდეს. —

(დასასრული შემდეგ №-ში).

## პოლიტიკა.

**ზრანია.**  
პარიჟი, მაისის 23-ს. ზაზ. „ლიბერტეში“ არის დაბეჭდილი დღეს, რომ ზრანციის სამძღვრებთან ბელგიაში ხელახლად ასტყდა მუშების არეულობა; სახლებს სხრავს და ატუსაღებენ და გამოძიებაც სწრაფით მიდის; უმეტესი ნაწილი არეულობის მომხდენთა არის „მუშების კავშირის“ წევრები; როგორც აღმოსწრდა, ბევრი არიან ამ საქმეში დამნაშავენიო.  
— მაისის 25-ს. — ძანონ-მდებელ პალატის დეპუტატების ამოჩრევა პარიჟში აი რო-

გორ გათავდა: პირველ ამომრჩეველთ მხარეში ამოირჩიეს ბამბეტა (რადიკალი); მეორეში ტიერი, ლევიკი (შოკოლადის ფაბრიკანტი) და დელტონ — შე. (სოციალისტი); მაგრამ აქ მეორეთ უნდა მოხდეს ამოჩრევა; მესამეში-ბანსელი (რესპუბლიკელი). მეორე ამომრჩეველთ მხარეში-ოპოზიციის კანდიდატი პიკარი; მესამეში ბარნიე — პაქეს და ორიც სხვა; მეექვსეშიც ხელმეორეთ უნდა ამოირჩიონ ბამბენისა და გავეთის „Temps“-ის რედაქტორ შერის შუა ერთი; მეშვიდე მხარეში ჰიულ-ფაერსა და როშფორის („ფანარის“ რედაქტორი) შუა უნდა მოხდეს მეორეთ კენჭის ყრა. მერვეში ჰიულ — სიმონი, მეცხრეში ამოირჩიეს ოპოზიციის კანდიდატი უ. პელტანი.

## იტალია.

ფლორენცია, მაისის 24-ს. დღეს ფინანსის მინისტრმა ბამბრე-დინიმ შეიტანა პროექტი საეკლესიო ქონების გაყიდვაზე. — ამბობენ, რომ სამღვდლოება პროტესტს შეიტანს იმ კანონის გამოცემაზე, რომლითაც ისინი განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურისაგან. მილანის არქივისკოპამ კიდევ დაიწყო ამ საქმეზე ცდა.

— მაისის 26-ს. პესტრიის კონსულის მოკვლაზე ლიგურიაში და გენერალი პრენვილის მოკვლის დაპირებაზე — იტალიაში ძალიან შესწუხდნენ; ყველა გაზეთები სწუხან ამზე. ბუშინ პალატაში პრეზიდენტმა სიტყვა, რომ ამ საქმის გამოძიება ლიგურიაში გაგზავნილს ჩინონიკებს ძალიან სწრაფად მიჰყავთ; თოთხეტი კაცი ამ საქმეში გარეული დაუტუსაღებიათ და ორი მოთავე კი ჯერ ვერ დაიჭირესო. ყველანი თანახმა არიან იმაზე, რომ პრენვილის მოკვლა იმიტომ დაუპირებიათ ლიგურიაში, რომ იმას ბევრი მტერი ჰყავს იქ; ეს მტრები აიჩინა თავისი სასტიკი ქცევით, როცა ის იყო ლიგურიაში 1849-ში, და როცა იმას ებარა პესტრიის ჯარი. იტალიის მმართველობამ იცოდა, რომ ლიგურიაში ძალიან ეგავრებათ პრენვილი, და დაუშალა იქ წასვლა, მაგრამ გრაფმა არ დაიშალა.

## ისპანია.

მადრიდი, ამ ცოტა ხნში იყო ლაპარაკი პორტუგალიაში მმართველობის სახის არჩევაზე, რომელზედაც რესპუბლიკელმა პასტელიარმა ილაპარაკა მრღვეანის პრინციებისა და გერცოგი მონპანსის წინააღმდეგ; მაგრამ რიოს როზასი ძალიან ენაწყულიანათ გამოექომაგა წაბეღლას სიძეს (მონპანსის) და ურჩევდა კორტესებს მონარხიული პრინციების მიღებას. ამ გადაწყვეტილების მიღების გამო უთოოთ ისპანიაში ურთიერთ შუა ომი მოხდება, მაგრამ კარლისტები ვერ შეიძლებენ ამ ომის დაწყებას; რესპუბლიკელებიც მაშინ დაიწყებენ ომს, როდესაც იმათი წინააღმდეგნი მოჰქიდებენ თოფ-იარაღს ხელსა. —

22 — მაისს. მრთი მადრიდის კორტეს-პონდენტი იწერება: გავრცელებული ბასი მმართველობის სახეზე მშენებრათ დაბოლოვებს გუშინ შუადღისას პასტელიარმა და საღამოს რიოს როზასმა. ქრება წყნარად შეუდგებოდა კენჭის ყრას კონსტიტუციის ორ სტატიას, რომ კოლონიების მინისტრს არ გამოეთხოვნა არეულობა კორტესებში. პასტელიარი ისეთი ორატორია, რომ მთელ ისპანიაში პირველ მოლაპარაკე კაცად მიაჩნიათ. ის ამტკიცებდა რესპუბლიკურ მართებლობის სარგებლობას და უმჯობესობას; ის ისტორიულურად განიხილავდა, რომ ჯერ არც ერთი ისპანიის მეფე არ ყოფილა ხალხისაგან გამოჩრეულიო. მერე პასტელიარი მიუბრუნდა საზოგადოებას და ჰკითხა: მონარხია რო დაეწყისო, მაშინ გვექნება ჩვენ რესპუბლიკელებს ჩვენი გაზეთები, კლუბები და კომიტეტები, თუ არა? — ერთის სიტყვით შეგვეძლება, თუ არა თავისუფლად ხალხში ჩვენი

აზრების გავრცელება? მრთმა კონსტიტუციის კომისიის წევრმა უპასუხა, რომ რესპუბლიკურსა და სხვა პარტიასაც თავისი ადგილი ექნება, რადგანაც ექნება შემდგარი კონსტიტუციის კანონები და ამიტომ მონარქიის დაწესება არც ერთს პარტიას არ აუკრძალავს არსებასაო. რიოს როზასმა კი მშენებრათ გამოსთქვა დემოკრატიული მონარქიის საფუძვლები. ამის შემდეგ კრება აპირებდა მე 32 და 33 კონსტიტუციის სტატიებს კენჭის ყრას; ამ დროს უადგილოდ დაიწყო ლაპარაკი კოლონიის მინისტრმა — ბილამ; იმან სიტყვა, რომ ვინც სეკტემბრის რევოლუციაში მონაწილეობა მიიღო, არაფის იმათგანს არ ეგონა, რომ ისპანიაში რესპუბლიკა გაიმართებოდაო; რესპუბლიკელი პარტია ახლა ძლიერი არის, მაგრამ მაშინ ისინი არცთუ შევლოდნენ ოპოზიციის რევოლუციის მოსახდენათ; „ჩვენ ყველას კარს ურახუნებდით; არაფინ ხმას არა გვეცემდა და ახლა კი ისინი, რომლებიც სეკტემბერში გადაყენებულ მონარქიას ემორჩილებოდნენ, მაისში გვიცხადებენ, რომ ისპანია მხოლოდ რესპუბლიკის გამართვით შეუძლიან ცხოვრებაო. რევოლუციის უშველეს აზნაურობამ, მდიდრებმა, ფაბრიკანტებმა, ექიმებმა, ლიტერატორებმა, ჯარმა და ფლოტმა. როცა რევოლუცია დაიწყო, მაშინ ყველა შეერთდა, რომ უშველოდ მოძრაობას. ანდალუზიის რესპუბლიკელებმა რატომ არ უშველეს სერანოს, როცა ის ძანარის კუნძულებზე მიდიოდა, თუ ასე ერდგულნი იყვნენ. (ყვირილი, რესპუბლიკელები თხოულობენ სიტყვას). მაგრამ მაშინ გენერლები წაიყვანეს და მე დავჩინე მარტო წყლის პირზე, სიყრუეში, რომელსაც ხანდის ხან მოსპობდა ხოლმე ქალაქიდან კიჟინა: ეს კიჟინა იყო რესპუბლიკელებისა, რომლებიც იმდროს უყურებდნენ ბულების ბრძოლას და აღტაცებით ყვიროდნენ. — (არეულობა და ყვირილი. რესპუბლიკელები არ ეთანხმებიან ორატორს და მეოთხედი საათის განმავლობაში პრეზიდენტს ვერ დაუწუმებია კრება). მე იმას კი არ ვამბობ, რომ რესპუბლიკელებს აკლდეთ სიფაქცაცე, არა, მაგრამ მაშინ კი სრულებით არ იყვნენ გულმოდგინედ თავიანთის მხრის სიკეთისათვის. — ბილას დაუმტკიცეს სხვა ორატორებმა მაშინვე, რომ რესპუბლიკელებმა მიიღეს რევოლუციაში მონაწილეობა და ასე შეარცხვენეს, რომ იმავე დღეს დათხოვნა ითხოვა თანამდებობიდან.

## ბელგიაში.

(პეტერბურღში მიღებული).  
პარიჟი 30 მაისს. აქ მოხდა არეულობა, რომლის მოსასპობლად კავალერია გამოვიდა. ამის მერე ოთხი ათასი კაცი შეიყარა ერთად და უწყსოება მოახდინეს: დაეჭირათ რკინის ჯოხები და ამითი ბევრი პოლიციის აფიცრები დაეჭრათ. —  
(შთილხში მიღებული 31 მაისს)  
პარიჟი. მაისის 23-ს შუალამისას დატუსაღეს რამდენიმე ასი კაცი; ზოგი დატუსაღებულები შეიარაღებულნი იყვნენ დანებით, ხანჯლებით და რევოლვერებით. ჯარი მზათ იდგა.

## ამხანაგთან მიწერილი წიგნი.

შენი ბარათის საშუალობით მე ნამდვილ წარმოგიდგენე, ჩემი საყვარელი ამხანაგი, ესლანდელის შენი მდგომარეობითურთ; როს მე შენს ბარათს ეკითხულობდი, ყოველივე მგონობელობა ჩემი მიჩენებულ იყო იმაზედ, თუ რას მომიტხოვდა მე ის. თუმცა დღითი დღე მიმრავლდება მე მწუხარება: სიხარული, მსჯანი და გამოთქმანი ჩემნი მცირდებიან, სული მიწუსს და მით ხორცი მოუსვენებლობს; მაგრამ, როცა ამ შენს ბარათს წავეკითხე,



ყოველივე ესენი უკუ — სდგებიან. პეტილო ამ-  
ხანაგა! შენის ბარათიდან სხანს, რომ მაუ-  
გებ მე უსწავლელობას და გაუთათლებლობას,  
როგორც ზოგიერთი სწავლულნი და არა  
განათლებულნი ყვედრიან უსწავლელ ხალ-  
ხთა და ეძახიან „მძინარეს“. მიკერის, რი-  
სთვის მაუგებ შენ, და რათ მძინარე მე მძინა-  
რეს? მე სრულიად არა მძინარეს, მაგრამ ვერ  
ვინებდები სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. რო-  
გორც ვატყობ, შენ ჩემი ცხოვრების ამბავი  
არ იცი; რომ მიცნობდე და იცოდე თავიდან  
ჩემი გარემოება, მაშინ კი არ მაძაგებ. როდ-  
ესაც გამიცნობ, რა თქმა უნდა, შეგებრალდები,  
როგორც საყვარელს და გონიერს ამხანაგს:  
არ დამიძახებ მძინარეს, იმედი მაქვს, და არც  
ამისთანა ბარათისათვის დამძრახავ, ამისთვის  
რომ კარგი ღურგალი გაუთლელის ხით სახ-  
ლის აშენებას არ იწყებს. მხლა კი ყური მი-  
გდე და იკონიე მოთმინება.

ბი როგორი იყო თავიდან ჩემი ცხოვრება:  
როს მე ვიყავ რვა წლის, მშობელთა ჩემ-  
თა მიმცეს მ—ილის სასწავლებელში; წამი-  
ყვანეს პატივისცემით მ—ილში, რომელიც  
ჩემგან იქნება თითქმის მეთუთხმეტე ვერსზედ.  
მე ვიყავ კარგად ჩაცმული, ე. ი. მეცვა: ჩო-  
ხა, ახალუხი, პერანგი და მისი ამხანაგი, პატი-  
ვები და ქალამნები ხარის ტყავისა; ჯორზე  
კი შემსვს პირველ წყევანზე და ნაბაღიც  
მოძახს; თავი ყაბალახით შემხვავს. მიმი-  
ყვანეს თუ არა სასწავლებელში, მასწავლე-  
ბელმა მიმიღო დიდის პატივისცემით; მამაჩე-  
მმა დამაყენა ნიკოია ზაურის სახლში, რომე-  
ლიც სასწავლებლისა მასლობელად სახლობს.  
მე სახელად ზუძა მერქვა და მ—ილში კი  
სტეფანე დამარქვეს.—მე დავიწყე სწავლა;  
მასწავლებელი კმაყოფილი იყო ჩემზე. არა  
ვითარი სიცოცხლე ჩემგან არ მოხდებოდა; ძლი-  
ერ პატარა ყოყავი; სტოლის ქვეშ შევძვრე-  
ბოდი ხოლმე თავ მოუდრეკელად. საშობოთ  
დამითხოვეს შინა და ბილეთიც მომცეს;  
დავიბარე სახლიდან კაცი და მამიჩემის უკე-  
დავი ჯორი, რომელსაც ერთი არშინი სიმა-  
ლდე ექმნებოდა. შენ არ მომიკვდე, ჯორი  
არ გამომიგზავნეს. მ—ილითაღეს რომ;  
„ზუძა, ფეხით მობრძანდიო“. მს მე ძალიან  
მეწყინა: ვინ სწავლული კაცი და ვინ ფეხით  
სიარული? ესტევი მე გულში, მაგრამ რაღა  
უნდა მექმნა მეტი, წავედი ფეხით. სახლში  
რო მიველ, მშობლებმა მომილოცეს განათ-  
ლების მიღება და თავი მოსწონდნით ჩემზე;  
სწავლული შეილი გეყავსო; იმას კი არ ანგა-  
რიშობდნენ, რომ მე მხოლოდ სამი თვე ვი-  
ყავი სასწავლებელში. მამამ მკითხა: „რა ისწა-  
ვლე შეილო?“—რუსული წიგნი კარგათ ვიცი  
და ქართული კი ნაკლებ, რუსული გალობაც  
ვიცი, უთხარი მე. ქართული წიგნის ნაკლე-  
ბად სწავლა იმისთვის უთხარი რომ, გამოკე-  
დილა მაშინვე მამა ჩემი, და მე არა ვიცოდი-  
რა. რუსული ჯ. რ სრულებით არა მქონდა  
დაწყებული, მაგრამ იმის იმედი მქონდა, რომ  
წიგნს ვერსად იპოვიდნენ; რუსული წიგნი კი  
არა—ქართულიც არსად იყო ჩვენ სოფელში.  
მხოლოდ მამა ჩემს მქონდა საეკლესიო წიგ-  
ნები ქართულს ენაზედ.—„აბა შეილო, რუ-  
სული გალობა როგორია—ერთი სტევი,“ მი-  
თხრა მამამ. მე ცოტათი შეეჩერდი და მამამ  
კიდევ განიმეორა: „სტევი, სტევი გალობა.“  
ჩემმა ბედად ორი სიტყვა შერეულად ვიცო-  
დი გალობიდან, და დავიწყე ესრეთ: ღო-  
ს-პო-რ-დი-პ-რ-ო-მ-ი-ლ-უ-უ. ძალიან კარგი;  
კიდევ, შეილო, კიდევ, მითხრეს მშობელ-  
თა. მსტევი კიდევ: პო-და-ი-ლო-ს-პო-რ-დი.  
დედა ჩემმა სიცილი დაიწყო და მამას უთხრა:  
„ამისთანა კაცი ქვევით უნდა დადიოდეს,  
ჯორი რათ არ გაუგზავნენ? მამა ჩემმა მიზე-  
ზების ლაპარაკი დაიწყო: „ჯორს ვინ უშლის,  
აწი სადაც უნდა წაიყვანოს, მაგრამ მე ამისთ-  
ვის კიდევ სხვა საჩუქარიც მაქვსო.“ საჩუქა-

რი რომ გავიგონე, მე გულში მიამა და გამე-  
ცინა. ცოტახანს უკან მამა ჩემმა მოიტანა  
საჩუქარი და მითხრა: „ამას ჩემთვის ვერ გა-  
მივიტყვებდი, მაგრამ რადგან შენ რუსული  
კარგად იცი, ამისთვის ეს შენთვის მიიჭებია,  
იმ პირობით რომ ქრისტეს შობას მე ესწირავ,  
და შენ რუსულათ გალობა მითხარი.“ აბა  
ეს საჩუქარი რა უნდა იყოს? რა და ქალამანი  
ხბოს ტყავისა. ძალიან არ მეყენია, მაგრამ ის  
კი მეწყინა—საყდარში გალობა სტევიო, რო-  
მითხრა მამა ჩემმა. ზულში ესტევი—ნეტავი  
არც ეს საჩუქარი მომცა და არც გალობა  
მათქმევინა. შეესწუხდი მეტის მეტად, ვიცოდი  
მამა ჩემთან უარი არ გამეწყობოდა; რა უნდა  
მეთქვა, რომ არა—ვიცოდი რა. მერე კიდევ  
ერთი ორი თავადიშვილები დადიოდნენ ჩვენ  
ეკლესიაში, იმათ იცოდნენ რუსული და ვერ  
მოვატყუებდი მათ; თორემ სხვებს კი არა  
ესმოდათრა, პირს დავადებდი და სულ ვიღრი-  
ალებდი, იმათ რუსული ეგონებოდათ. ბევრი  
ვიფიქრე; მაგრამ ვერა მოვახერხებია. ბოლოს  
მოვიგონე ავათმყოფობა, და შობის წინაღეს  
ჩემწევი ლოგინში; გუნებაში კი ვამბობდი:  
ღმერთო, ენლა გადამარჩინე ამ სირცხვილს  
და ტანჯვას—და მ—ილში რომ წავალ, სულ  
თავს დაეცალე რუსულს. ამ ჩემმა მოგონე-  
ბულმა ავათმყოფობამ ძლიერ შეაწუხა ჩემი  
მშობელი; ისინი ხან იქით მირბოდნენ სოფ-  
ლის ეკიმებთან და ხან აქეთ სოლოცავდნენ;  
მნახველები ამბობდნენ: „მინ იცის ბატონო!  
იქნება თვალი ეცა ჩვენს ზუძას.“ მე გუ-  
ლში ვამბობ;—თვალი კი არა, ორ ნაგებ  
ლომს \*) უცბად გადაეცალაპა, სადაური თვა-  
ლი მეცა. შობა რომ გათენდა, თქვენი ზუ-  
ძა ლოგინში იწვა; წირვა რომ გამოვიდა,  
მადლობა ღმერთს—ესტევი. შენ არ მომიკ-  
ვდე, იმ დღეს არსად არ წავსულ ვიყო; მეო-  
რე დღეს უკეთ შევიქნენ, საკმელს მოვიპარა-  
ვი და ისე ესტამდი ხოლმე, თუ ვინმე მი-  
ყურებდა, მაშინ კი ცოცხლად გიხსლებოდი;  
ენაზობდი, როგორც ავათმყოფის რიგია. რა-  
კი თვალს მომამორებდნენ, ერთი ბათმანიც  
არ მიყოფოდა, მაგრამ ვინ შემოტყობდა; სა-  
კმელი ბევრი იყო, ხომ მოგვხსენება მღვდ-  
ლის სახლში. მეტადრე ნაშობებს, რა ხორა-  
გი შემოვა. მართის სიტყვით დიდს მწუხარე-  
ბაში გავატარე ის დღეები, რომელნიც დანი-  
შნული მქონდა საკეფოდ, სასიამოვნოდ  
მასწავლებელისაგან. ახალ წელიწადსაც არ  
გხლებივარ საყდარში; ლოგინში ვიწევი ძლიერ  
ესუნთქვამდი. ნათლისღებისთვის კი, როგორც  
იყო წამოვდექი, ლოგინიდან მაგრამ იმის იმე-  
დი მქონდა, რომ საყდარში არ წამიყვანდნენ  
ნათმყოფევეს; საყდარიც შორს იყო. ბადა-  
ერჩი თუ არა მწუხარებას, წაველ სასწავლე-  
ბელში. შამსევეს ჯორზე და ყოველივე ჩემი  
ბარგი და ერთი თვის ხარჯი: ღომი, სიმინდის,  
ფქვილი და სხვა რაღაცები უკან შამამაკრეს,  
ბიჭიც გამატანეს. წავედი მე და ბიჭი მ—ი-  
ლში. რაკი ჩემს სოფელს გაეცდილი ბიჭიც  
უკან შემოვისვი ჯორზე და გავემგზავრეთ.  
მართალი უნდა გითხრა, ის ჯორი, რომელ-  
ზედაც მე ვიჯექი, ბარგი უკან მეკრა და ბი-  
ჭიც შემოსული მყვანდა, სწორედ პატიო-  
სანი სიტყვა, მრთაქალის ვირის ტოლა იქმ-  
ნებოდა. რამდენჯერ საწყალი ბიჭი გადავარდა  
ჯორიდან, რა ვერ დავეტიეთ; როგორც იყო  
მივიჩნაღლით მ—ილში და ჩამოვხტით  
ჩემ ძველ სახლის პატრონთან. სახლის პატ-  
რონის ცოლი ძალიან დარდიმანდი და პატი-  
ვის მცემელი ქალი იყო; მივედი თუ არა,  
მომგებდნენ წინ და მიმიღეს პატივისცემით.  
თუმცა თოვლი იყო, მაგრამ მე ისევ ის პერა-  
ნგის ამხანაგი და პატივები მეცვა, რომელიც

\*) ნაგებ ღომს მას ეძახიან ჩვენში რომ, შემადე-  
ბულ ღომს, ხის ჩოგნით ამოვიღებთ ქვებიდან, და  
ს უ ფ რ ა ზ ე დასდებთ, ორ ორს თითო კაცზე

პირველ სეტქმებში ჩამაცეს და ესენი ისე  
მათობდა, როგორც დრახის შარვალი; ხელე-  
ბი კი დამწოდა სიცივისაგან და როს გავთბი,  
წვა დამიწყო, მაგრამ თაფლი წამცხეს და მით  
მომარჩინეს. იმ დამეს ჩემს სასთუნლოთან  
ჯორი დააბეს, მოვისვენეთ როგორც იყო.  
მეორე დღეს ბიჭი ჯორიანათ წავიდა; მე და-  
ერჩი იქ. დავიწყე ისევ სწავლა, მაგრამ იმ  
წელს მეტათ დიდი ზამთარი იყო, და იმან  
ძლიერ დამაბრკალა; ასე რომ მე ვიყავ რვა  
წლისა, სასწავლებელი ერთ ვერს ნახევარზე  
იქმნებოდა ჩემი სადგომიდან, მერე კიდევ  
აღმართი იყო ასავალი. ღვწი ოთხჯერ ასე-  
ლა-ჩამოსვლა შემხედებოდა; როცა დასთოვდა  
ხოლმე, სახლის პატრონი გზას გაგვიჭრიდა  
და ისე წავიდოდა. ამხანაგებიც მყვანდა;  
ყველას ერთად გეაწუხებდა სიცივე; თუ ძლი-  
ერ ყინვა არ იყო, ფეხები ყოველთვის სველი  
მქონდა. შკოლაში რომ მივიდოდი, დასჯდე-  
ბოდი მაღალ სკამზე, ფეხს ძირამდი ვერ დაუ-  
წვდნდი და ამის გამო საშინლად გამიციდ-  
ებოდა ისინი; ვგრეთვე ტანზედ ჩოხა და დახე-  
ული ახალუხი აბა რას გამათობდა! მართა-  
ლი რომ ესტევა, შიმშილიც მოწაწილე იყო  
სიცივისა. სასწავლებელში არც ბუხარი და არც  
არავითარი სათბობი არა იყო; კარები კი  
ყოველთვის ღია იყო. მოდი და ეხლა ისწა-  
ვლე! მე მაინც, როგორც იყო, იმდენი ვე-  
წავლე რომ—საღღგამოთ ვისწავლე „მამაო-  
ჩენო“ და „მრწამსი“ რუსულად; ვგრეთვე  
გალობაც გავისწორე.

საღღგამოთ დაგვითხოვეს თუ არა, გავს-  
წიე შინსიკენ. რათ მინდოდა ჯორი? შევში-  
შევილი გიხსელი სახლში; მივედი თუ არა შე-  
ქნეს ერთი ხრიალი. „ზუძა მოვიდა! ზუძა მო-  
ვიდა! მამა ჩემი ჯავრობდა: „ზუძას ნუ  
უძახით, სტეფანე დაუძახეთ.“ მეც თავი მომ-  
წონდა. მამა ჩემს სტევი: „ბი რუსული სწავლა  
ამიტომ არის კარგი, რომ კაცს გამოსცვლის,  
რუსებს ფეხით სიარული უყვართ, ჩემი შეი-  
ლიც იმათ დამსგავსებია. მს მეც მიამა, მკი-  
თხეს მშობელთა: შეილო, ზუძა, რა ისწა-  
ვლე?—ყოველივე ბევრი, ე. ი. „მამაო ჩე-  
ნო“ და „მრწამსი“ რუსულათ, მიუფე მე; „გა-  
ლობას მოუმატე? მკითხა მამამ;—რა თქმა  
უნდა გალობა კი არა სხვაც ბევრი ვისწავლე.  
მაიკინა და მითხრა: „ოცი წითელი კვერცხი  
მიიჭებია შენთვის, შეილო!“ აღდგამაც თე-  
ნდებოდა, მამა ჩემმა მითხრა: „აბა შეილო!  
მე ესწირავ და შენ „მამაო ჩენო“ და „მრწა-  
მსი“ რუსულად სტევი წირავზედ და გალო-  
ბაც რუსულად.“ ბალობის უარი ესტევი მე;  
ხმა არ მივარგა მეთქი და ვერც ერთი მარტო  
იგალობებს მეთქი. მამა ჩემოს და მრწამ-  
სის რუსულად თქმავზე დავეთანხმე; აღდგამა  
რო გათენდა, წავედი ყველანი წირავზე.  
მამა ჩემს დაიწყა წირვა; მე ხელზე ვემსახუ-  
რებოდი და ხშირათ გარეთ ვიციქირებოდი—  
აბა მოვიდნენ ის თავადი შეილები, რომელ-  
მთა იციან რუსული, თუ არა. ძლიერ მეში-  
ნოდა და მრცხენოდა, ღმერთო იმ თავადი-  
შვილებს ნუ მოიყვან, ეამბობდი მე, ამისთვის,  
რომ „მრწამსი“ არ ვიცოდი კარგად—ისინი  
თუ არ იქნებოდნენ, როგორც იყო ვიტყოდი  
რასმე; მართლაც დაუგვიანდათ თავადებს, მე  
„მრწამსი“ რუსულად დავიწყე. ყველას გაუ-  
კვირდა და სტევეს: „ნეტავი მამა შენს-რა  
შვილი ჰყავხარ!“ ცოტა ხანს შემდეგ „მამაო  
ჩენო“ უნდა მეთქვა; ის კი გარგათ ვიცო-  
დი.—დავიწყე და იმდროს თავადი-შვილებიც  
შამოვიდნენ; იმათ ნელნელა ჩაიცნეს. ბათა-  
ვდა თუ არა წირვა, ყველანი მე მილოცა-  
ნენ, ჩემთან მოდიოდნენ, კვერცხები მოჰქო-  
ნდათ. სოფელში ხმა გავარდა: „ამა და ამ  
მღვდელს განათლებული შეილი ჰყავს, რუსუ-  
ლი იცისო, გალობა შეუძლიაო და....“ აღ-  
დგამის მეორე დღეს მამა-ჩემმა მითხრა ბილე-  
თი მიხეენო. მე უჩვენე ბილეთი, რომელზე-

დაც ერთგვრდნელ რუსულად ვიწერე წიგნი  
ლი და მეორეზედ ქართულად. მამა ჩემმა  
თხე ბილეთი. მე წაუკითხე ქართულად:—ეს  
ლა რუსულად—წამიკითხე. რუსული რომ არ  
ვიცოდი, რა უნდა მექმნა; ხელნაწერს კი არა  
ნახებდის ამხანაგ ძლიერ ვიკეთავდი. მაგრამ  
ჩემი ბედი ის იყო, რომ „ცაროუ ნებესნი“  
(მეფეო ზეცათაო), ვიცოდი ზებირად. დავი-  
წყე კითხვა ესრეთ: „ცაროუ ნებესნი უტემი-  
ტელია, ღუშე ისტინე იფე ევზედ ესია.“ შემ-  
დეგ მოვიხსენე ჩემი სახელი და გვარი სტე-  
ფანე ძიმისტარეიშვილი, მერე ესტევი სმატრი-  
ტელია პ. ჯ. და როგორც იყო გადარჩი ამ  
მოთხოვნილებს. მშობელთ ეგონათ თუ ნა-  
მდიელ ვკითხულობდი და უხაროდათ. თავის  
დროზე სასწავლებელში წავლე; დამერწმუნე  
ნაღღგამოვიდამ 15 ოქტომბრამდის ფეხში-  
შეველა დავდიოდი სასწავლებელში. ბევრი  
რამე მაწუხებდა, მაგრამ მეტი რა ღონე მქო-  
ნდა, უნდა გამეძლო მწუხარება. მაწუხებდა  
ა) საშიშვლე. ბ) შიმშილი, გ) გაუგებელი  
ზებირი სწავლა, და დ) შიმშილ მასწავლებელთა-  
გან. ღალოცვილმა, პ. ჯ. მეტის მეტი უწყა-  
ლო ცემა იცოდა როზვით. სადაც კი თვალს  
მოეკრავდი პ. ჯ.-ს. გული ძვრას დამაწყე-  
ბდა, ისე მეშინოდა ხოლმე. მაშინდელი შიმში-  
ცხლაც გულზედ დადიოთ მაჩნა.—პეტილო  
ამხანაგო! სწავლა ძრიელ მიყვარდა, მაგრამ  
საიდან უნდა მესწავლა და გასაკვირიც იყო  
ჩემი სწავლა. სამთელს ვინ მომაშავებდა? წა-  
მლათაც ვერ ვიშოვიდი მე იმას. მხოლოდ  
ამა საშუალებას ეხმარებოდა: საღამოობით ამხა-  
ნაგები თავს მოვიყრიდით და წავიდოდით  
შემის მოსაგროვებლად. მოვაგროვებდით,  
ცოტაცოტას, დავანთებდით ცეცხლსა და ისე  
ესწავლობდით გასაკვეთს. თუ ვაკვეთი-  
ლი არ გვეცოდინებოდა, სამოცი როზვი,  
ანუ ორმოცზე ნაკლები მაინ არ იქნებოდა  
ჩვენგან სალოდებელი. ბეფიცები ძიობას და  
ამხანაგობას, ერთხელ მ—ილიდან დავით-  
ხოვეს ავათმყოფობის მიზეზისა გამო. ზამთარი  
იყო, მე ცალფეხზე წინა მეცვა და მეორე-  
ზე წულა \*) და ისე თუთხმეტე ვერსზედ მომა-  
ტებული გავიარე; მუხლამდის კი თოვლი იყო.  
რამდენი წყლები მქონდა გასაყელი—ვინ  
იცის! ამდენი მწუხარების მომთმენმა, რო-  
გორც იყო გავთავე მ—ილის სასწავლე-  
ბელი ე. ი. 2-ი კლასი, სადაც დავკარგე ნიჭი  
და სიმრთელე ტანისა. შემდგომ, ვინ იცის,  
ძმაო! საღ არ მიმახლა ბედმა, მაგრამ ეხლა  
ვერ მოგწერ, მისთვის რომ ამან ბარათს გა-  
დაჯარბა და შემდგომისათვის იყოს. რას იტ-  
ყვი,—კიდევ მაძაგებ? მე ხომ ასე არ დავყავ-  
დი სასწავლებელში, როგორც ზოგიერთები  
თავტონით დაჰყავთ, ან ჩვენში რომ ბიჭს  
შეუსვამდნენ მხარზე ბატონის შეილს და ისე  
მიიყვანდნენ სასწავლებელში; მამაჩემს ხომ  
მასწავლებლები არ უტყირავებია, როგორც  
რომელნიმე მამის სამს და ოთხს მანეთს აძ-  
ლევენ ღვწი მასწავლებლის, რომ შეილს  
ასწავლოს. მე არც საყვდრებელი ვარ და არც  
მრცხენია, უსწავლელობისათვის; მაშინ შემ-  
რცხებია, როდესაც ჩემის უხეირობით გამეფუ-  
ჭებინოს რამე, მაგალ. ზოგიერთი მდიდარი  
მამა შეილს ბევრს დაუტოვებს, მაგრამ შეილი  
ცული ყოფაქცევით დააბნევს და მით თავსაც  
გაიფუჭებს. მგრეთვე არიან ისრეთი ყმაწვი-  
ლები, რომელთაც აქეთ ნიჭი და საშუალება  
რომ ისწავლონ, მაგრამ თავიანთ უწყსოების  
გამო ვერ სარგებლობენ. ბი ამისთანაები  
არიან საყვედრებელნი და არა მე. მიკი შენი  
ამბავი, რომ იტყვი ჩემზედ: სიყმაწვილოში  
ცუელი სკოლნიოა და სხვა და სხვა ნიარად  
დამიწყებ შენიშვნას, მაგრამ ვგრე სულმო-  
კლებობას ნუ იხმარ, მოითმინე და მე გაიანობ:  
თუ როგორ მიხსნა ბედმა და იმასაც—ვინ და  
რა იყო მიზეზი ჩემის ტყუილის ლაპარა-  
კისა.—

შენი და სხ.  
მეგრელი ს. ძიმისტარეიშვილი.  
თბილისი 1869 წ.  
მაისი.  
\*) მეგრელების ჩვეულებრივი ფეხსაცმელი სამო-  
გვისა, აბრეშუმის ძაფით შეკერილი.